საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/19

ქ.თბილისი

"30" აპრილი 2017 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობების და პროექტების მართვის სამსახურის, პროექტების მართვის მთავარ სპეციალისტ მარიამ სულაბერიძისათვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიენიჭოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში "კომისია") აპარატის საერთაშორისო ურთიერთობების და პროექტების მართვის სამსახურის, პროექტების მართვის მთავარ სპეციალისტ მარიამ სულაბერიძეს უფლებამოსილება, რათა ხელი მოაწეროს EBRD-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში საკონსულტაციო კომპანიის მიერ წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტს;
2. დაევალოს მ. სულაბერიძეს მიღება-ჩაბარების აქტის კომისიისათვის წარმოდგენა;
3. წინამდებარე ბრძანების 1-ლ პუნქტში მითითებული პასუხისმგებელი პირის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს 2018 წლის 1 იანვარი;
4. ბრძანება ძალაში შედის კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისი საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;
4. კონტროლი წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციამ (ი. ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge